სახელმწიფო შესყიდვის
ხელშეკრულება
№ 5085/77

ქ. თბილისი 6 ივნისი 2014 წ.

ერთის მხრივ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო (შემდგომში – შემსყიდველი) წარმოდგენილი მინისტრის პირველი მოადგილის გოგი ფაცაციას სახით, მეორეს მხრივ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა "ცხუმი" (შემდგომში - "თანადამკვეთი") წარმომადგენელი ამხანაგობის თავჯდომარის ნინო ბანძელაძის სახით და მესამე მხრივ შპს „სტანდარტ+" შემდგომში - "მიმწოდებელი") წარმოდგენილი დირექტორის გოჩა მაქაცარიას სახით (შემდგომში - „მხარეები"), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2014 წლის 5 ივნისის N1130 ბრძანების შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (შემდგომში – „ხელშეკრულება") – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე დართული ყველა დოკუმენტით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებული;

1.2. შემსყიდველი ორგანიზაცია (შემდგომში „შემსყიდველი") - ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3. მიმწოდებელი ორგანიზაცია (შემდგომში „მიმწოდებელი") - ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4. ხელშეკრულების ღირებულება - ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსთვის „საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით გამოყოფილი ასიგნების ფარგლებში ქ.თბილისში, მარუაშვილის ქ. N50-ში მდებარე შენობის სახურავის წყალსაწრეტი მილების აღდგენითი სამუშაოების თანადაფინანსება. თანდართული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესაბამისად, რომელიც დანართის სახით თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს;

2.2. სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება 2014 წლის 5 ივნისია N 1130 ბრძანებით გათვალისწინებული ზღვრული ოდენობების ფარგლებში. მათ შორის:

ა) სახურავის წყალსაწრეტი მილების აღდგენითი სამუშაოების ჩატარების მთლიანი ღირებულების 6 899,66 (ექვსიათას რვაასოთხმოცდაცხრამეტი ლარი და 66 თეთრი) ლარიდან 3 110,53 (სამიათას ასათი ლარი და 53 თეთრი) ლარის ანაზღაურება.

2.3. CPV 45200000 – „სამუშაოები მთლიანი ან ნაწილობრივი მშენებლობისათვის და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები";

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება.

3.1. ხელშეკრულების საერთო სავარაუდო ღირებულება შეადგენს 3 110,53 (სამიათას ასათი ლარი და 53 თეთრი) ლარი. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების გათვალისწინებით.

მუხლი 4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

4.1.1. განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულება. იგი პასუხისმგებელია შესრულებული სამუშაოს ხარისხზე და დროულობაზე, პასუხს აგებს და სრულად უნაზღაურებს „შემსყიდველს" მისთვის მიყენებულ ზარალს;

4.1.2. ხალშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების სრულად დამთავრების შემდეგ, თავისი ხარჯებით ჩაატაროს შესრულებული სამუშაოების საინჟინრო-ტექნიკური და ფინანსური ექსპერტიზა და წარუდგინოს „შემსყიდველს" 30 კალენდარულ დღემდე ვადაში;

4.1.3. შემსყიდველის მიერ გამოვლენილი დეფექტის, ნაკლის ან/და უხარისხოდ შესრულებული სამუშაოს თაობაზე მიღებული წერილობითი შეტყობინებიდან 10 (ათი) კალენდარულ დღემდე ვადაში საკუთარი სახსრებით აღმოფხვრას იგი და აუნაზღაუროს შემსყიდველს ხელახალ ინსპექტირებასა და შემსყიდველის მიერ განხორციელებული სამუშაოსა თუ მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები;

4.1.4. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და დაიცვას შეთანხმების ყველა პირობა;

4.1.5. დაუყოვნებლივ აცნობოს "შემსყიდველს" (წერილობით) სამუშაოების მიმდინარეობისას წარმოქმნილი პრობლემების შესახებ და მიიღოს საჭირო ზომები სამუშაოების მიმდინარეობისას წარმოქმნილი შეფერხებების აღმოსაფხვრელად;

4.1.6. დაუყოვნებლივ აცნობოს "შემსყიდველს" სამუშაოების დამთავრების შესახებ და წარმოადგინოს წინამდებარე ხელშეკრულების პირობებით განსაზღვრული შესაბამისი დოკუმენტაცია, მათ შორის, მიმართვა (წერილის ასლი) გაგზავნილი ექსპერთთან, შესრულებული სამუშაოს საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის ჩატარების თაობაზე;

4.1.7. წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ საგარანტიო ვადებში საკუთარი ხარჯებით შეასრულოს ობიექტის აღდგენითი სამუშაოები, თუ დადგინდება რომ დაზიანება გამოწვეულია მიმწოდებლის მიზეზით;

4.2. „მიმწოდებელი" პასუხს აგებს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების დროულ და უპირობო გადახდაზე;

4.3. მიმწოდებლის მიერ აღებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება მათ შესასრულებლად და მოთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისთვის გადასახდელი თანხიდან;

4.4. მიმწოდებელი ვალდებულია 10 (ათი) კალენდარულ დღემდე ვადაში დაუბრუნოს „შემსყიდველს" ექსპერტიზის დასკვნით გამოვლენილი ცდომილების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შედეგად ზედმეტად მიღებული თანხები;

4.5. „შემსყიდველი" ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი და შესრულებული ვალდებულებები აანაზღაუროს სრულად;

4.6. "შემსყიდველი" არ აგებს პასუხს "მიმწოდებლის" მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე და მესამე პირისთვის მიყენებულ ზიანზე ან/და ზარალზე.

მუხლი 5. სამუშაოს მიღება-ჩაბარების წესი და მიწოდების ადგილი

5.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად (მიწოდებულად) მხოლოდ შესაბამისი „მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმების და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ, თუ ხელშეკრულების პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

5.2. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების აქტს შემსყიდველის მხრიდანხელს მოაწერს განსახლების ობიექტების ტექნიკური ზედამხედველობის დეპარტამენტის ტექნიკური ზედამხედველობის სამმართველოს წარმომადგენელი;

5.3. შემსყიდველი ვალდებულია წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს საბოლოოდ ჩატარებული შემოწმების (მონიტორინგი) შედეგებით გამოვლენილი შეუსრულებელი ან/და უხარისხოდ შესრულებული სამუშაოს ან/და მისი ნაწილის (ეტაპის) შესახებ და მიუთითოს წუნდების მიზეზები;

5.4. შემსყიდველის თანადაფინანსებით განსაზღვრული სამუშაოს საბოლოო მიღება-ჩაბარება განხორციელდება სამუშაოების სრულად დასრულების შემდეგ, შესაბამისი შესრულებული სამუშაოების აქტის (ფორმა N2) და საექსპერტო დასკვნის საფუძველზე, რომელსაც საკუთარი ხარჯებით ჩაატარებინებს მიმწოდებელი და წარუდგენს შემსყიდველებს.

5.5. სამუშაოს ჩატარების ადგილია: ქ.თბილისი მარუაშვილის ქ 50.

მუხლი 6. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

6.1. „შემსყიდველი" უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს შესრულებული სამუშაოების ხარისხის და მოცულობების შესაბამისობის შემოწმება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან;

6.2. შესრულებული სამუშაოების ინსპექტირების (მონიტორინგი) შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან/და დეფექტის შესახებ (მდარე ხარისხის სამშენებლო მასალები და უხარისხოდ შესრულებული სამუშაო) „შემსყიდველი" დაუყოვნებლივ აცნობებს (წერილობით) მიმწოდებელს ნაკლოვანებების მითითებით, ხოლო გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრა და მასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება დაეკისრება „მიმწოდებელს", საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით;

6.3. „შემსყიდველის" მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისობის ინსპექტირებას (მონიტორინგი) განახორციელებს სამინისტროს განსახლების ობიექტების ტექნიკური ზედამხედველობის დეპარტამენტის ტექნიკური ზედამხედველობის სამმართველოს წარმომადგენელი.

მუხლი 7. სამუშაოს ხარისხი და გარანტია

7.1. „მიმწოდებელი" იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ შესრულებული სამუშაო იქნება საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმების და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია, წინამდებარე ხელშეკრულების ამ მუხლის 7.2 პუნქტით განსაზღვრულ ვადებში საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა;

7.2. წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ და შემსიდველის მიერ მიღებულ (საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების თარიღი) სამუშაოზე ვრცელდება საგარანტიო ვადა არა ნაკლებ ხუთი წელი.

7.3. სამუშაოების შესრულების პროცესში გამოყენებული ყველა მასალის და მოწყობილობის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს. შემსყიდველ ორგანიზაციას შეუძლია (საჭიროების შემთხვევაში) მოითხოვოს მშენებლობის პროცესში გამოყენებული მასალების სერტიფიკატი;

7.4. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ მიწოდებული მასალა, მოწყობილობა ან შესრულებული სამუშაო არ შეესაბამება საქართველოში მოქმედ ნორმებს ან/და საერთაშორისო სტანდარტებს ან/და შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებს, მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით ჩაანაცვლოს იგი სხვა შემსყიდველისთვის მისაღები მასალით, მოწყობილობით ან/და სხვაგვარად შეასრულოს სამუშაო;

7.5. მიმწოდებელი ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოები შეასრულოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმების ან/და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მუხლი 8. ანგარიშსწორების ვადები და ადგილი

8.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

8.2. ანგარიშსწორება შესაძლოა განხორციელდეს როგორც წინასწარი საავანსო გადახდით ისე ეტაპობრივად შესრულებული სამუშაოების მიხედვით შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის ვადაში.

8.2.1. საავანსო გადახდა შესაძლებელია მხოლოდ საბანკო გარანტიის საფუძველზე, საერთო სახელშეკრულებო ღირებულების 100 %-ის.

8.2.2. საერთო სახელშეკრულებო ღირებულების ავანსის სახით 100%-ის გადახდის შემთხვევაში, წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოების (რომელიც დადასტურებული იქნება ფორმა N2–ით, მიღება–ჩაბარების აქტით და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი დოკუმენტაციით) ღირებულებით მოხდება საავანსო თანხის გაქვითვა.

8.3. საავანსო ანგარიშსწორების შემთხვევაში "მიმწოდებელი" ვალდებულია შემსყიდველს წარმოუდგინოს საბანკო გარანტია, წინასწარ მოთხოვნილი თანხის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა მინიმუმ 30 (ოცდაათი) დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას;

8.4 წინასწარი ანგარიშწორების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია 2014 წლის 9 ივნისამდე წარმოადგინოს წინასწარ მოთხოვნილი თანხის ოდენობის საბანკო გარანტია. ანგარიშწორება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ საბანკო გარანტიის წარმოდგენიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში.

8.5. საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ფორმა N2–ით, მიღება–ჩაბარების აქტით და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ 20 (ოცი) კალენდარული დღის ვადაში;

8.6. მიმწოდებელი ვალდებულია 10 (ათი) კალენდარულ დღემდე ვადაში დაუბრუნოს „შემსყიდველს" ექსპერტის დასკვნით გამოვლენილი ცდომილების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შედეგად ზედმეტად მიღებული თანხები;

8.7. ანგარიშსწორების ადგილია ქალაქი თბილისი.

მუხლი 9. ფასები

9.1. წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლში დაფიქსირებული შესასრულებელი სამუშაოს ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს და მისი გაზრდა დაუშვებელია;

9.2. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები;

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი შესაბამისი ცვლილებების განხორციელების დასაბუთებული მოტივი. ამავე დროს, „შემსყიდველი" არ არის ვალდებული წარუდგინოს „მიმწოდებელს" რაიმე მტკიცებულება იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რის გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა;

10.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის (შეთანხმება) სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 11. უფლებების გადაცემა

11.1. მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

11.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში მიმწოდებელი ვალდებულია აცნობოს (წერილობით) შემსყიდველს ყველა სუბკონტრაქტორის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

11.3. მესამე მხარის მიერ მიმწოდებლის წინააღმდეგ სარჩელების წამოყენების და სასამართლო პროცედურების დაწყების შემთხვევაში, შემსყიდველს მათთან დაკავშირებით არ ეკისრება არარნაირი პასუხისმგებლობა.

მუხლი 12. ფორს-მაჟორი

12.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების (საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად) დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

მუხლი 13. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

13.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არასრულად ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელი ჯარიმდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3 (სამი) პროცენტის ოდენობით.

13.3. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, "შემსყიდველი" იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს "მიმწოდებელს" ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

13.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1 შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მოითხოვოს გა- წეული ხარჯების ანაზღაურება საქონლის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხის მნიშვნელოვანი დარღვევის (გამოუსწორებელი ნაკლის, ისეთი ნაკლის, რომლის გამოსწორება შეუძლებელია განსაზღვრული მატერიალური და დროის დანახარჯების გარეშე, ან რომელიც კვლავ აღმოჩნდება ნაკლის გამოსწორების შემდეგ) შემთხვევაში.

14.2. შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლისათვის ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ თუ:

ა) ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადაში მიმწოდებელს არ შეუძლია საქონლის სრულად ან ნაწილობრივ მიწოდება;

ბ) მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;

გ) შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

დ) მიმწოდებლის მიმართ დაიწყო გაკოტრების საქმის წარმოება;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 15. დავების გადაწყვეტის წესი

15.1 ამ ხელშეკრულების შესრულების დროს წამოჭრილი ყველა დავა შეძლებისდაგვარად გადაიჭრება მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას წყვეტს სასამართლო.

მუხლი 16. სამუშაოს მიწოდების პერიოდი

16.1 სამუშაოს შესრულების ვადაა წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერიდან 2014 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით.

მუხლი 17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

17.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერიდან და მოქმედებს 2014 წლის 3 ოქტომბრის ჩათვლით.

მუხლი 18. სხვა პირობები

18.1 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირი და კოორდინატორი, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერებით ადასტურებენ, რომ მათი მონაწილეობა აღნიშნულ შესყიდვაში არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

18.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 4 (ოთხი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.

მუხლი19. მხარეთა რეკვიზიტები

"შემსყიდველი"	"თანადამკვეთი"
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო ს. კოდი 200037646 მისამართი ქ. თბილისი თამარაშვილის 15ა სახელმწიფო ხაზინა ბ. კოდი 220101222 ა/ა 200122900 **მინისტრის პირველი მოადგილე** **გოგი ფაცაცია**	**ბინათ მესაკუთრეთა ამხანაგობა „ცხუმი“** მის:ქ.თბილისა მარუაშვილის 50. ტელ: მობ: 593 63 64 58 **ბინათ მესაკუთრეთა ამხანაგობა „ცხუმი“-ს თავმჯდომარე** **წიწო ბანძელაძე**

"შემსრულებელი"

შპს „სტანდარტ+“ ს. კოდი 419988062 მის: ქ. თბილისი, ქინქლაძეს 33 ტელ: 557 410 695 ლიბერთი ბანკი ბ. კოდი LBRTGE22 ა/ა N GE 71LB011311 2452116000 **შპს „მშენებელი“** **გოჩა მაქაცარია**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა
და ლტოლვილთა მინისტრი

ბრძანება № 1130

ქ. თბილისი

„05" 06 2014 წ.

სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების შესახებ

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, „საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის 7.2 პუნქტის (პროგრამული კოდი 34 02), „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2008 წლის 22 თებერვლის №34 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დებულების" მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „რ" ქვეპუნქტისა და განსახლების ობიექტების ტექნიკური ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 2 ივნისის N05/01-11-6016 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით სამინისტროსათვის გამოყოფილი ასიგნებებიდან (პროგრამული კოდი 34 02) მიიმართოს 3 110,53 (სამიათას ასათი ლარი და 53 თეთრი) ლარი ქ. თბილისში, მარუაშვილის ქ. N50-ში მდებარე შენობის სახურავის წყალსაწრეტი მილების აღდგენითი სამუშაოების მთლიანი ღირებულების - 6 899,66 (ექვსიათას რვაასოთხმოცდაცხრამეტი ლარი და 66 თეთრი) ლარის ნაწილის ანაზღაურებისათვის.

2. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, საფინანსო დეპარტამენტმა, ამ ბრძანების პირველი

პუნქტით გათვალისწინებულ ღონისძიებათა შეზღუდულ ვადებში განხორციელების მიზნით, საჭირო სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს გამარტივებული შესყიდვით.

3. დევნილთა საკითხების დეპარტამენტს დაევალოს მონაცემთა ბაზაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელება.

4. ადმინისტრაციული დეპარტამენტის საქმისწარმოების სამმართველომ (მ. გორდულაძე) უზრუნველყოს ამ ბრძანების ასლის მიწოდება დევნილთა საკითხების, საფინანსო, განსახლების ობიექტების ტექნიკური ზედამხედველობისა და იურიდიული დეპარტამენტებისათვის.

5. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს მინისტრის პირველ მოადგილეს გოგი ფაცაციას.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი ..... დავით დარახველიძე

6016-05/01-11-3-201406021253

N 05/01-11-6016 02/06/2014

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით
გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა
მინისტრს ბატონ **დავით დარახველიძეს**

განსახლების ობიექტების ტექნიკური ზედამხედველობის
დეპარტამენტის უფროსის **გია ნაჭყებიას**

მოხსენებითი ბარათი

მოგახსენებთ, რომ ჩვენს მიერ განხილულ იქნა ბ.მ.ა. „ცხუმი"-ს თავმჯდომარის ნინო ბანძელაძის 2014 წლის 27 მაისის განცხადება (N24258/01) და თანდართული მასალები, რომელიც შეეხება ქ.თბილისში, მარუაშვილის ქ.N50-ში მდებარე შენობის (დევნილთა საცხოვრებელი) სახურავის წყალსაწრეტი მილების აღდგენითი სამუშაოების თანადაფინანსების საკითხს.

ზემოაღნიშნული შენობის სახურავის წყალსაწრეტი მილების აღდგენითი სამუშაოების ღირებულება წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვით შეადგენს 6899,66 (ექვსი ათას რვაას ოთხმოცდაცხრამეტი ლარი და 66 თეთრი) ლარს, აქედან 3789,13 (სამი ათას შვიდასოთხმოცდაცხრა ლარი და 13 თეთრი) ლარს იხდის ქ. თბილისის ჩუღურეთის რაიონის გამგეობა (იხ. დანართი, 2014 წლის 22 მაისის დადგენილება N67/90-494), ხოლო დარჩენილი 3110,53 (სამი ათას ასათი ლარი და 53 თეთრი) ლარის თანადაფინანსებას ბ.მ.ა. „ცხუმი" ითხოვს სამინისტროსგან.

გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს მინისტრის ბრძანების პროექტის მომზადება.

დანართი: 10 (ათი) ფურცელი.

პატივისცემით

გია ნაჭყებია

დეპარტამენტის უფროსი

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდ
იძულებით გადაადგილებულ პირ
საცხოვრებლებისა და ლტოლვილთა მინისტ
ბატონ დავით დარახველიძეს

აფხაზეთიდან - სამაჩაბლოდან დევნილის
/გვარი, სახელი, მამის სახელი/
დროებით მცხოვრები ახალციხის N50
/მისამართი/

ბ. ბარამიძე
593636938

/ბინის, ოჯახი, ტელეფონის №/

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ჩემი მეუღლე ახალციხის N50 -ში ოჯახი-
ნამდა ვიმყოფებოდა საბჭოთა ბრიგადაზე და ვთხოვდი ეცვი-
ნოთი ადგილობრივებს, ინვალიდობა 50%-ზე ჰქონდა
მინასწორი ვთხოვთ მოგვეცეს

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
ადამიანის უფლებათა დაცვის სამინისტრო
24205810
27 05 2014 წ.

რთი: ფურცელი.
/ოდენობა/

27.05.2014

/ხელმოწერა/

GEO

NINO

BANDZELADZE

GEO F

25.11.1968 09.06.2023

131A36857

A 226884

ნინო

ბანძელაძე

62003003619 25.11.1968 008-02995

31.01.2014



SOKHUMI

09.06.2013

MINISTRY OF JUSTICE

IDGEO13IA3685776200[illegible]<<<<

6811255F2304[illegible]<<<<<<<<<<<<

BANDZELADZE<<NINO[illegible]<<<<<<<<

საქართველოს ოკუპაციაშია ტერიტორიებზე

იურისდიქციის გავრცელებადობის ადგილი,

განსაზღვრებისა და ტერიტორიების სამინისტრო

ქალაქ თბილისის
ჩუღურეთის რაიონის გამგეობა

დადგენილება N 67/90-494

„22" მაისი 2014წ.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ცხუმი"-ს მიერ დაფინანსების თაობაზე

წარმოდგენილი

განცხადების დაკმაყოფილების შესახებ

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის" განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ" ქ.თბილისის საკრებულოს 2010 წლის 27 დეკემბრის N14-78 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის" განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის შესაბამისად,

გამგეობამ დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის „ ცხუმი"-ს (აღრიცხვის N 16-66, მის: მარუაშვილის ქ. N 50) მიერ 8.05.2014 წარმოდგენილი N 372 განცხადება; სარეგისტრაციო N 12/141281670-22;
2. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, სახურავის წყალსაწრეტი მილების აღდგენითი სამუშაოების თანხამ შეადგინა 6899,66 (ექვსიათასრვაასოთხმოცდაცხრამეტი ლარი და 66 თეთრი)

ლარი, დაფინანსების მიზნით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ ცხუმი"-ს გამოეყოს 3449,83 (სამიათასოთხასორმოცდაცხრა ლარი და 83 თეთრი) ლარი, ქ.თბილისის საკრებულოს 2010 წლის 27 დეკემბრის N 14-78 გადაწყვეტილების საფუძველზე ამხანაგობის სოციალურად დაუცველი წევრის წილობრივ გადასახდელ თანხას 339,30 (სამასოცდაცხრამეტი ლარი და 30 თეთრი) ლარს აანაზღაურებს ჩუღურეთის რაიონის გამგეობა;

3. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ ცხუმი"-ს მიერ 3 კვირის ვადაში წარმოდგენილ, დაფინანსებული სამუშაოების შემსრულებელ მომსახურე ორგანიზაციასთან გაფორმებული ხელშეკრულების დედანი და ამხანაგობის წილის შესაბამისი თანხის 3110,53 (სამიათასასამი ლარი და 53 თეთრი) ლარის ავანსის სახით გადახდის დამადასტურებელი საბანკო ქვითრის დედანი,

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის მიერ მომსახურე ორგანიზაციასთან გაფორმებული ხელშეკრულებისა და მათი წილის შესაბამისი თანხის, ავანსის სახით, გადახდის დამადასტურებელი საბანკო ქვითრის 3 კვირის ვადაში, გამგეობისთვის წარუდგენლობა გამოიწვევს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადებას;

4. დადგენილების მე-3 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ ცხუმი"-სა და გამგეობას შორის გაფორმდეს ხელშეკრულება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობისთვის გადასაცემი თანხის გაანგარიშების წესის შესახებ.

5. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში, დადგენილი წესით, სამუშაოების დასრულების შემდეგ გამგეობაში წარმოადგინოს შესრულებული სამუშაოს თაობაზე ტექნიკურ-ფინანსური ანგარიში,

6. დადგენილების მე-5 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ განხორციელდეს საბოლოო ფინანსური ანგარიშსწორება.

7. კონტროლი დადგენილების შესრულებაზე დაევალოს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების განყოფილების უფროსს ლევან კაპანაძეს.
8. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (ქ.თბილისი, ჟ.შარტავას ქ. N7) კანონით დადგენილი წესით მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

22.05.14 წ.

რაიონის გამგებელის

მოვალეობის შემსრულებელი

აკაკი დარასელია

ხელშეკრულება N05-02-2014

ქ. თბილისი 2014 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი, ერთი მხრივ, ბმა "ცხუმი"-ს თავმჯდომარის - ნინო ბანძელაძის სახით (შემდგომში - „დამკვეთი"), და მეორე მხრივ, შპს „სტანდარტ +" დირექტორის გოჩა მაქაცარიას სახით (შემდგომში - „შემსრულებელი"), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია ქ. თბილისი, მარუაშვილის N50 – სახურავის წყალსაწრეტი მილების შეკეთების სამუშაოები.

მუხლი 2. ანგარიშსწორების წესი

2.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 6899,66 (ექვსი ათას რვაას ოთხმოცდაცხრამეტი) ლარი და 66 თეთრი.

2.2 სამუშაოთა ღირებულება შეესაბამება ხარჯთაღრიცხვის მიხედვით დადგენილ ღირებულებას.

2.3 სამუშაოთა ანაზღაურება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ეროვნულ ვალუტაში (ლარებში) დამკვეთსა და შემსრულებლს შორის გაფორმებული ფორმა №2 მიხედვით.

2.4 სამუშაოთა მთლიანი ღირებულების 50%_შეადგენს- 3449 (სამი ათას ოთხას ორმოცდაცხრა) ლარი და 83 თეთრი, მათ შორის 10 (ათი) სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის განკუთვნილი თანხა არის 339 (სამას ოცდაცხრამეტი) ლარი და 30 თეთრი , ხოლო დანარჩენ 50 %_ს შეადგენს 3449 (სამი ათას ოთხას ორმოცდაცხრა) ლარი და 83 თეთრი.-დამკვეთი სამუშაოთა დაწყებამდე ანაზღაურებს 3110 (სამი ათას ას ათი) ლარი და 53 თეთრი, ხოლო სამუშაოთა დასრულების შემდეგ 3789,13 (სამი ათას შვიდას ოთხმოცდაცხრა) ლარი და 13 თეთრი, წარმოდგენილი ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ტექნიკურ-ფინანსური დამადასტურებელი დოკუმენტაციის (მიღება-ჩაბარების აქტი, ფორმა N2 და სასამართლო ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენიდან 14 (თოთხმეტი) სამუშაო დღეში.

მუხლი 3. ხელშეკრულების ობიექტის მიწოდების ვადები, გარანტია და ხარისხი

3.1 ხელშეკრულების გთვალისწინებული სამუშაოების დასრულების ვადა შეადგენს ხელშეკრულების დადებიდან 90 (ოთხმოცდაათ) კალენდარულ დღეს.

3.2 3.1 მუხლით გათვალისწინებული ვადის დარღვევის შემთხვევაში დამკვეთი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება შემსრულებელთან და მოითხოვოს ავანსის სახით გაცემული 20% 3110 (სამი ათას ას ათი) ლარი და 53 თეთრის ანაზრაურება. ავანსის ანაზღაურება უნდა მოხდეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

3.3 3.1 მუხლით გათვალისწინებული ვადის დარღვევის შემთხვევაში დამკვეთი უფლებამსილია აცნობოს დამფინანსებელი რაიონულ გამგეობა დარღვევის გამოვლენის შესახებ, რის საფუძველზეც რაიონის გამგეობას აქვს უფლება შეიკავნოს შემსრულებლი გამგეობის შავ სიაში.

3.4 შესასრულებელი სამუშაოების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს სამშენებლო ნორმებითა და წესებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

3.5 დამკვეთი ვალდებულია, წერილობითი ფორმით დაუყოვნებლი აცნობოს შემსრულებელს შესრულებულ სამუშაოზე რაიმე დეფექტების აღმოჩენის შესახებ.

3.6 შეტყობინების მიღებისთანავე შემსრულებელი ვალდებულია გამოასწოროს დეფექტი საკუთარი ხარჯებით გონივრულ ვადაში. აღნიშნული ვალდებულება ასებობს სამუშაოების შესრულებიდან 1 (ერთი) წლის განმავლობაში.

მუხლი 4. სამუშაოს მირება-ჩაბარების წესი

4.1 შესასრულებელი სამუშაოს მიღება საანგარიშო პერიოდში წარმოებს დადგენილი წესით (ფორმა №2).

4.2 დამთავრებული ობიექტის მიღება-ჩაბარება ფორმდება სამშენებლო ნორმათა და წესებით დადგენილი აქტების მიხედვით.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-ვალდებულებები

5.1 დამკვეთი ვალდებულია:
- დროულად უზრუნველყოს შესრულებული სამუშაოების წარმოებისათვის საჭირო პირობები;
- მიიღოს შემსრულებლისაგან სათანადო წესით გაფორმებული დამთავრებული სამუშაოები.
- აანაზღაუროს შემსრულებლის მიერ შესრულებული სამუშაო ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

5.2 დამკვეთს უფლება აქვს:
- განახორციელოს კონტროლი შემსრულებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.

5.3 შემსრულებელი ვალდებულია:
- შეატყობინოს დამკვეთს იმ გარემოებათა შესახებ, რომლებიც აბრკოლებენ სამუშაოთა მიმდინარეობას ან შეუძლებელს ხდიან მათ შემდგომ გაგრძელებას;
- შეასრულოს სამუშაო საკუთარი მასალით;
- შეასრულოს სამუშაო საკუთარი რისკის ხარჯზე;
- დამკვეთის მოთხოვნის შემთხვევაში დააფინანსოს თავისი საკვალიფიკაციო მონაცემები;
- უზრუნველყოს სამუშაოთა მაღალი ხარისხით შესრულება სამშენებლო ნორმების და წესების დაცვით და მათი დამთავრება დადგენილ ვადებში.

5.4 შემსრულებელს უფლება აქვს:
- მოითხოვოს დამკვეთის შესრულებული სამუშაოების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

5.5 თავიანთი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულებისათვის მხარეები პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

მუხლი 7. მხარეთა პასუხისმგებლობა და დავების გადაწყვეტის წესი

5.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5.2. მხარეებს შორის წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა და უთანხმოება წყდება მხარეებს შორის შეთანხმების გზით.

5.3. შეთანხმების მიუღწეველობის შემთხვევაში დავა განიხილება სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

6.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ხელმოწერიდან და ძალაშია პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულებამდე.

6.2. ხელშეკრულება ვადამდე შეიძლება შეწყდეს:

6.2.1. მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;

6.2.2. მხარეთა მიერ თავიანთი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში;

6.2.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 7. სხვა პირობები

7.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

7.2 ხელშეკრულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა ხდება წერილობით, ორივე მხარის მიერ მისი ხელმოწერის შემდეგ.

მუხლი 8. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსრულებელი

შპს "შემსრულებელი"
მის. სტანდარტ+
საიდენტიფიკაციო კოდი:419988062
ბანკი: ლიბერთი ბანკი LBRTGE22
ა/ა: GE71 LB0113112452116000

ამხანაგობა

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა
"ცხუმი"
მის. მარუაშვილის 50

დირექტორი

გიორგი მაქაცარია

ხელმოწერა _____

ამხანაგობის თავმჯდომარე:

ნინო ბანძელაძე

ხელმოწერა _____

ხარჯთაღრიცხვა N01-06-2014 2014წ.

მარუაშვილის 50 წყალსაწრეტი მილების მონტაჟი

დამკვეთი:
ამხანაგობა: ცხუმი
თავმჯდომარე: ნინო ბანძელაძე
მისამართი : მარუაშვილის 50
ტელ: 593636458
სართულების რაოდენობა: 2

შემსრულებელი:
შ.პ.ს. "სტანდარტ +"
დირექტორი: გოჩა მაქაცარია
ს/კ 419 988 062
ტელ: 557410695
საფუძველი დეფექტური აქტი

#	სამუშაოს დასახელება	განზ. ერთ.	რაოდენობა	მასალა		ხელფასი (საშემოსავლის ჩათვლით)		მთლიანი ღირებულება
				ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	
1	წყალსარეტი მილების დემონტაჟი	მ	365			0.50	182.50	182.50
2	წყალსარეტი მილების მონტაჟი მმ 120 კალათიანი ამწით	მ	365			3.00	1095.00	1095.00
3	კალათიანი ამწის მოსახურეობა	სთ	32			40.00	1280.00	1280.00
4	პლასტმასის მილი დ=100	მ	365	1.4	511.00		0.00	511.00
5	მუხლი დ=100	ც	108	2.54	274.32		0.00	274.32
6	ბაბრის დამზადება მონტაჟი	ც	39		0.00	25	975.00	975.00
7	თუნუქით სისქით 0.5 სმ	მ2	39	7.3	284.70		0.00	284.70
8	ხამუთი	ც	220.00	1.25	275.00		0.00	275.00
	ჯამი				1345.02		3532.50	4877.52
	ხედნადები ხარჯი	%	10					487.75
	ჯამი							5414.05
	გეგმიური დაგროვება	%	8					433.12
	ჯამი							5847.17
	დღგ 18 %	%	18					1052.49
	სულ ჯამი							6899.66

დეფექტური აქტი N01-06-2014

2014წ.

მარუაშვილის 50 წყალსაწრეტი მილების მონტაჟი

დამკვეთი:
ამხანაგობა: ცხუმი
თავმჯდომარე: ნინო ბანძელაძე
მისამართი : მარუაშვილის 50
ტელ: 593636458
სართულების რაოდენობა: 2

შემსრულებელი:
შ.პ.ს. "სტანდარტ +"
დირექტორი: გოჩა მაქაცარია
ს/კ 419 988 062
ტელ: 557410695
საფუძველი დეფექტური აქტი

#	სამუშაოს დასახელება	განზ. ერთ.	რაოდენობა
1	წყალსარეტი მილების დემონტაჟი	მ	365
2	წყალსარეტი მილების მონტაჟი მმ 120 კალათიანი ამწით	მ	365
3	ძაბრის დამზადება მონტაჟი	ც	37